

88
15

ქართული
ბეჭდვითი




მათრასი

№ 4

რედაქტორისტ. ჟურნალი

ბელის-მოწერა არ მიიღება, მისაღება გამოიგზავნება ამ სადრესტო: Тифლისь, Типографія „Промъ, Геофилу Болкваде



რედაქტორის სიმღერა

რა ლამაზად დაფრიალომს
დალოცვილი ბორბალიო!
მაგრამ მისგან არ შინახავს
მე დაფქვილი ხორბალიო.

სითავ ქარი დაუბერავს
იქით დაექანებაო
და პატრონიც შრომისაგან
ძლივს-ღა ექაქანებაო.

სურს, რომ ყველას შიაწოდოს
თვისი შრომის საყოფიო,
მაგრამ რა ქნას, როცა ფქვილი
ღარაა აქვს საყოფიო!

რა ლამაზად დაფრიალომს
დალოცვილი ბორბალიო!..
ვანუწყვეტლივ დო-მხალსა ფქვეს
რა კი ძვირობს ხორბალიო.

მთარახოსანი.



მგზავრი. რა კარგათ ბრუნავს ეს ბორბალი.
რედაქტორი. ბრუნავს, მაგრამ შავის დაფქვილი
ვერა ვნახე რა.



ხმა ბრძოლის ველიდან

(ძეგარფას აკაკის ხსოვნას)

ლავეარდოვან ცის კაბადონს მოსწყდა სხივი მოკამკამე და სამშობლოს მიდორ-ველმა დაიგმინა: ოი, ვახ მე! უცებ არეგაითანგა, — ყრუ სიჩუმე ჩამოვარდა; ამირანის კლიტულ კლდიდან მუარე კენესა ამოვარდა. ნელმა სიომ ანარეკლით მოირბინა მთა და ბარი და მოჭვინა არე-მარეს მწუხარება გლოვის ზარი. ამცნო ყველას, რომ მნათობი კიდეც მოსწყდა მშობელ ცასა; აქეთინდა და თან გაჰყვა შორს, ატეხილ გლოვის ხმასა. ტყვიის ზუზუნს ჩაექსოვა გულ დამწვარი სიო ნელი; ბრძოლის ველზეც მოგვიტანა ეს ამბავი საშინელი. გავიგონეთ... და დადუმდა ტბილი ენა, ტბილი ქნარი? ვაი ჩვენს დღეს მუდამ ტანჯულს, რა ყოფაა განამწარი! გავიგონეთ... და არ გვეჯერა, ჩვენ არ გვეჯერა, რომ.. და რაექნათ? დავიჯეროთ, თუ დავბრუნდით, რომ აკაკის ველარ ენახავთ?..

ლავეარდოვან ცის კაბადონს მოსწყდა სხივი შუქ — მფინარე. ვაჰ, მშობელო, როს დასრულდეს შენი კენესა სიმწუხარე?!.

ბერი ქედანი.

აკაკის ხსოვნას!

მშობელ ქვეყნის ცის კაბადონს კვლავ სიკვდილმა გაჰკრა ცელი, და მოსწყვიტა მშრომელთ ბაღნარს მიწის ღმერთი მძლეთ-მძლეველი!.. ვინც სამშობლოს სიკვდილამდის უგალობა ჰანგი ტბილი შეაჩვენა კაცთ სიხვე. შეიბრალო შრომის შეილი. ვინც იარას ტანჯულ ხალხის ზედ დადნა ვით სანთელი, ძმობა სთესა ხალხის გულში გაუნათა ღამე ბნელი. ვინც „გაბატულ“ გლეხის შეილსა მფარველ ღმერთად მოველინა, გათოშილი სიცივისგან ტბილის „ნანი“ მიაძინა.. თვისი სიბრძნით ვინც აღზარდა თავის ერის მომავალი, ვინც აღანთო ტანჯულ ხალხში მომავლის ნაბერკვალი.. არ მოკვდება არასოდეს, არ მოკვდება მისი სული მისი სახე კვლავ ანათებს—ვითარცა მზე ყოველათ სრული.. ვით მარადის იარსებებს საქართველო და ქართველი თანც აკაკი სულ იცოცხლებს, უკვდავია მის სახელი..

ბ. უჩხუბელი.

წარსულიდან.

I

ახირებული თხოვნა

რევოლუციის დროს ვმუშაობდი ერთის გაზეთის რედაქციაში. რა დრო იყო... არც თუ ძლიერ აფიქტანა შიშმა. ვიკოდით, რომ „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“. დაღრეჯილობას ჩვენთან არ ხელი ჰქონდა: ქვეყნის გადაბრუნებას ველოდით, ვოცნებობდით, აი, დღეს თუ ხვალ დადგება ის სანეტარო დრო, რომ „თხა და მგელი ერთად სძოვდეს“. ვიყავით გატაცებულნი ჩვენი შრომით, მისწრაფებით...

უკაცრავად, წარსული გამახსენდა და თითქოს კიდევ ოცნებას მივუკი თავი.

მოგახსენეთ, რედაქციაში ვიჯექი და ვმუშაობდი. შემოალო კარი და შემოვიდა სპარსელი მეზილე.

— რა გნებავთ?

— ამხანაგი ლედახტორი შენა ხარ?

— არა, რედაქტორი ესლა აქ არ არის. მალე მოვა, დაბრძანდით.

— მაშ შენ ვინა ხარ?

ლიმილით ვუპასუხე:

— ამხანაგ რედაქტორის ამხანაგი. რისთვის გარჯილხართ?

— ერთი პატარა, ზრიერ პატარა საქმე მაქვს.

— წერილი მოიტანეთ გაზეთისთვის?

— არა, მე ქითაბი არ ვისი. მამა ჩემი ზრიერ ნახავლი კაცი იყო, მე ვაჭარი. ხილსა ვყიდი, რახათლუკუმს, ზრიერ ტუბალი რახათლუკუმი. აბა, გემო ნახე, მიირთვი.

კიდევ გავიღიმე. ვიფიქრე — ან კომუნისტია ეს მეზილე, ან ქრთამს მამლევს. ვერ ვაწყენინე. მართლა ტუბილი რახათლუკუმი იყო. ჩემის მხრივ ჩაი შევთავაზე. კომუნა თუ არ იყო ჯერ, მასპინძლობა ხომ დიდი ხანია ვიცი.

რედაქტორიკ მოვიდა.

— შენა ხარ ამხანაგი რედაქტორი?

— დიახ. რას მიბრძანებთ?

— ერთი პატარა საქმე მაქვს.

— ბძანე.

— მე ვაჭარი კაცი ვარ, ხილსა ვყიდი: ქიშიშ-ლაბლაბო, რახათლუკუმი, მუხხალი, ვაშლი, მიირთვი. პირი გავისვენეთ.

— ზრიელ პატარა საქმე მაქვს. ერთი გარადავი არის. ვი, ვი, რა გარადავია. ქაჯია, სატა-

ნა, შითანი. ზრიერ ფინთია. მოვა, ზავე, მოვა, ზავე. ერთი ზრასტი არ იცის. სულ იზახეჩა, მუხხალი-ზაპირაი. პაშოლ-პირიშოლ. ზაალა ზაბირაი, სეკე-გამიკარვა მუშტარი. ქიშიშ-ლაბლაბო, ხილი, რახათლუკუმი ოხრად არის. არავინ ყიდულობს. სულ გარადავოის ბრალია: აღპირაი — ზაპირაი. პაშოლ — პირიშოლ.

— მერე რა გნებავთ ჩვენთან? გაზეთში დავბეჭდოთ, რომ გარადავოი გაწუხებთ?

— არა. გაზეთი არ მინდა. მე ქითაბი არ ვიცი.

— მაშ რა გნებავთ?

— ორი ტერორი მიიტა. ის გარადავოი მოკალი.

ფხვზე წამოვხტი.

— ეგ როგორ შეიძლება? თუ გინდათ გაზეთში დავბეჭდეთ. კაცის მოკლა როგორ იქნება!

— ვი, ვა... რომ იცოდეთ, რა ფინთი ვინმეა ის გარადავოი მაშ რა ექნა? მე მოვიცლა თავი? ზაალა ზაილა: ატპირაი — ზაპირაი. პაშოლ — პირიშოლ.

— ბოქაულთან უჩივლეთ.

— ჩივილით ბევრი უჩივლეთ, მაგრამ ის გარადავოი არ მომაშორეს. უარესი ვახდა.

რედაქტორმა დიდი ლექცია წაუკითხა მეზილეს. ძლივს დავაჯერეთ, რომ რედაქციას ტერორები არა ყავს და კაცის კვლა ჩვენი ხელობა არ არის, ჩვენ პირიქით გვიანდა, რომ ყველამ ადამიანურად იცხოვროს. მეზილე თურქმე სრულიად კმაყოფილი იყო თვისი საყუთარი ცხოვრებისა. მარტო ის გარადავოი უჭირებდა სიცოცხლეს.

თუმცა ახირებულ თხოვნაზე უარი მიიღო, მაგრამ ხილი და რახათლუკუმი კიდევ შემოგვთავაზა და წავიდა.

II

ავალაგოთ?

ესეც იმ დროინდელი ამბავია. ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყებდა.

ლმერთმა დასწყევლოს, ვინც კრახმალის პერანგები და ზაპინკები მოგოვანა. სულ იმის ბრალია...

კვირა დღე იყო. სტუმრად ვაპირებდი წასვლას ერთ კოპწია ქალთან. შევამჩნიე, რომ ერთი ზაპინკა დამკარგოდა.

ჩავიარე ბაზრისკენ. ხომ მოგვხსენებთ, ქალაქში კვირაობით ბაზარში საქონელი გამოაქვთ, სტოლებზე აწყობენ და ჰყიდიან.

მივედო ერთ სტოლთან და დათვლიერება და-

ქაქი ხსობს მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ვუწყე სტოლზე დალაგებულ საწვრილმანოს: ზაინ-კებს ვეძებდი.

ვერსად შევამჩნიე, თან ვიფიქრე, კი არ დამი-გვიანდეს. — კაპწია ქალი აღერის მადიერად წარბ-შეშქუნული დამხედებოდა: საათს დახედე, ჯერ აღრე აუო.

მეწვრილმანემ რაღაც შიშით შემომხედა.

— ავალავოთ?

მეც ვაკვირვებით შეხედე.

კიდევ შიშით განიმეორა:

— ავალავოთ?

სულელია მეთქი, — ვიფიქრე და უნებლიეთ ეუპასუხე:

— აალავე...

არა, მე რა მენადლებოდა — აალავებდა თუ დაალავებდა, არც კი დავფიქრებულვარ, რა უნდა აალავოს.

გავშორდი და მეორე მეწვრ აღმანსკენ წავე-იქნება იქ შემოვინა ზაინცე...

დათვლიერება ვერ მოეახწარი, რომ მეწვრილ-მანემ შემომამხა:

— ავალავოთ?!

ეს ისეთი კოლოთი იყო ნაიქვამი, რომ უფრო თანხმობა იხატებოდა ამ სიტყვებში, ვიდრე კითხვა. მეწვრილმანემ საჩქაროდ ალავება დაიწყო სა-ქონლისა.

მივიხედე და პირველ მეწვრილმანეს უკვე ალა-გებული ჰქონდა სტოლი.

მესამე მეწვრილმანისკენ ვასწიე, მაგრამ რომ მიუახლოვდი, შიშით შემომამხა:

— ეხლავ! ეხლავ!

და საჩქაროდ დაიწყო აკრეფა საქონლისა.

ერთ წუთში მთელი ბაზარი დაკარიღდა.

ჯანდაბადი გზა გქონეთ მეთქი, ვიფიქრე. ოხერ-ტიელა კრახალის მადეები გამოვიძრე, ვადე-ყარე და ის იყო უნდა წაესულიყავ კაპწია ქალი-საკენ, ჩამავლეს მაგრად ოთხიოდე კაცმა ხელი და გამიტაცეს.

ჩემი უბედურების ამბავი გაციო კაპწია ქალმა. აქეთ ეცა, იქით ეცა, ქვეყანა შეაწუხა თურმე, მაგ-რამ ვერაფერი მიშეგლა.

ერთმა შემთხვევამ მიხსნა უბედურებისაგან.

ჩემ კაპწია ქალს მეგობარა ჰყავდა მეორე კაპ-წია ქალი. ამ მეორე კაპწიას ეკურკურებოდა ერთი ბებერი მომპოლიტი, პომპოლიკის ახალგაზდა ცოლს ეარსიყებოდა ერთი ვაჟრის მზარეული, მზარეული მსწონდა ერთი დიდი ბობოლას ცოლს.

დატრიალდა ჩემი კაპწია ქალი: იარა ჩემი და-

ტუსაღების ამბავმა და მიაღწია, გეგეგეგე, გამო-იძიეს საქმე.

თურმე, ნუ იტყვეთ, აი, რისთვის დამიჭირეს: იმ დროს ვაჟრებს კვირაობით მუელ დღეს უნდოდათ ვაჟრობა. პოლიციაც, როგორც მათი გულშემატკივარი, უბრძანებდა ფეხის ხმას ნუ აყე-ბით, და ვილაც სოციალისტებს ნუ დაუჯერებთო. ვაჟრებმა მოახსენეს:

— კაგე და პატროსანიო. მაგრამ სწორეთ 12 საათზე ჩამოვიღოს ხოლმე ვილაც ტერორისტი და გვიბრძანებს — აალავეთო.

ჩვენც გვეშინიან და საქონელს ვალავებთო.

პოლიციამ ბრმანა: მაცა, მაგ ტერორის დევი-ქერთა და ნახე, რა დღე დევაყენოთო.

მე რომ ზაინკების საყილად ჩავხედე ბაზარ-ში და საათს დახედე, თურმე სწორეთ თორმეტი საათი ყოფილიყო...

იმ გასაკრებელ ვაჟარს თურმე ტერორისტი ვეკონე და შიშით მკოხა

— ავალავო?

მე რა ვიცოდი. მოუფიქრებლად ეუპასუხე: „აალავე“.

ბაზარი ალავდა და მე ვინც თვალ-ყურს მა-დევნებდა, მტაცეს ხელი და... დანარჩენი ავი მო-გახსენებ.


ყოველივე ეს კაპწია ქალის წყალობის მოახ-სენეს ბობოლას. დამბარა. გამომკოხა. მეც ყველა-ფერი მოგახსენე გულ-ახლილათ. ბევრი იცინა და ნაობახტლდენ გამომსიტუმრეს.

ილბალი თუ გინდა ეს არს. კაპწია ქალი რომ არ დამხმარებოდა, ესლა ამ ქვეყნიღვან ვიქნე-ბოდი ალავებული.

ერთი სენი კი დამჩემდა: რომ იტყვიან სუფრა ავალავოთო შეშინიან, მგონია ნაობახტში უნდა ჩამსვან.

უდანაშაულოთ გამართახებული.





ჩემი გზა...

დაე ისარი გაშვებულმან
შორითა მტყორცნონ, გულსა დამსონ
და სისხლი მჩქეფრი, მუნ მონადენი,
წყლისა მაიერ მომცენ და მასონ;

დაე გულს წასულს გულწასულნივე
ზედ მეფაროდენ, ცოცხლად მპარხედენ;
დაე შშობელნი, დები თუ ძმები,
და მეგობრები გვერდით არ მყავდენ;

მაინც ჩემს თავსა, მოთქმა-ტირილით
ჩემებრ მონასა არ შევებარებ
და მის ჩადენილ მხეცურ საქმესაც
მას არ მივაწერ, არ დავებარებ...

და განა მე, სხვის ზელში მეტრ დანას,
ვარდისა მოჭრა მენდომებოდა?
განა არ ვუწყი თუ ყლორტი მისი
რარივად მწარედ ატრემლდებოდა?!

დაე ისარი გაშვებულმან
შორითა მტყორცნონ, გულსა დამსონ
და სისხლი მჩქეფრი, მუნ მონადენი,
წყლისა მაიერ მომცენ და მასონ;

მაინც ჩემს გზასა, იმ ძველსა გზასა,
მწარე ტანჯვისა გამქარვებელსა;
არ გადაუხვევ... ვივლი და ენახავ
იმ ჩემს პირველსა მახარბუელსა...

მთ. ნინოწმინდელი

ფირალობა გურიაში*

I

ფილარი ლომჯარია.

მართალია, აკაკის კიკელასავით, ასი წლის
აა ვარ, მაგრამ ისიც კმარა, რაც მე თითქმის ამ
წახვეარი საუკუნის განმავლობაში მინახავს—გამიგო-
ნა.

ალახვენთ ყურნი თქვენი სმენათ! რასაც მე
ქვენ ვიამბობთ, ეს არც ზღაპარი, არც ლეგენდა
და არც უსაქმო კაცის ოცნების ნაყოფია, არამედ
ნამდვილი მომხდარი ამბავია. დღეს აღარც ლომჯარ-
ია და აღარც ის თავი, ვინც ლომჯარია შეაქ-
დნა და აღამიანი მოაკლევინა, ამიტომაც შეგვიძ-
ლია, რაც მოხდა, სთული სიმართლით ავუყვართ.

ეს იყო 80-იან წლებში, იმ დროს გურიის

ფირალების „მთავარ-სარდლოთ“ დეოქალი სურგუ-
ლაძე ითვლებოდა. დათულისა თავი დაუასებელი
იყო, მაგრამ ის ტყის ნამდვილი გმირი იყო, მდე-
ვართ ხელიდან ადვილათ ეტკეოდა და პირიქით
აყენებდა ზიანს... შემოდგომის თვის ერთ საღამო
ქამს, ქ. ოზურგეთში, თავისსავე სახლის მახლობ-
ლათა თოფით მოქცეს ოზურგეთის მაზრის უფრო-
სის თანამშემუფ თავადი ანტონ ნაკაშიძე. მკვლედი
მიიმალა და ბევრი ასე ფიქრობდა, რომ ის მოკლა
დათულისა სურგულაძემ. მაგრამ რამდენიმე დღის
შემდეგ ყველამ, ვიგო რომ ნაკაშიძე მოუკლავს
არა ფირალს, არამედ მშვიდობიან მცხოვრებს
ლომჯარიას.

რათა და რისთვის უნდა მოეკლა ლომჯარიას
ნაკაშიძე?... ეს კითხვა დიდხანს ბურუსით იყო მო-
ცული, მაგრამ ბოლოს მაინც ცხადი დარჩა, თუ
ვინ იყო ამ მკვლელობის ნამდვილი მიზეზი.

II

გურიის სამხრეთის ერთ სოფელში ცხოვრობ-
და ახალგაზრდა მარჯვე გლეხი ლომჯარია... არ
ვიცი, ვინ იყო მართალი: ლომჯარია თუ მისი
მეზობლები, მაგრამ ვიცი, რომ ლომჯარიას მე-
ზობლებმა ხარის ქურდობა შესწამეს. მამასხლისმა
შეწამებულის დაქერა დააპირა და სანამ ლომჯარია
ამ საქმეს ჩააკეთებდა მანამდე ის კი არ გაფი-
რალდა, არამედ გადადგა. გადადგომა ნიშნავდა იმას,
რომ უიარაღოთ ფარულათ ცხოვრობდა და გაურ-
ბოდა მარტო მთავრობის მოხელე პირებს. ის ცდი-
ლობდა საქმე ისე მოეწყუ, რომ ბრალდება თავი-
დან აეყარა და შემდეგ თვით გამოცხადებოდა მთავ-
რობას.

ლომჯარიას გასაქირი ვიგო გურიაში (და გუ-
რიის ვარეთაც) კარვად ცნობილია თავადმა მელი-
ტონ ნაკაშიძემ. მელიტონი იშვიათი ჭკვიანი და

* ფირალი (ყ. ლი, გადავარდნილი კაცი) გურიაში
თითქმის ყოველთვის იყო, ძველათ ფირალობის უმთავრესი
მიზეზი იყო ბატონ-შუმბის სამარცხენო უღელი: მუნებნი
ამაყი და ფიცხი გურული ფიზიკურათ სჯიდა თავის სასტიკ
მებატანეს და თავისუფლების საგანძობლათ ჩყენ შეაფარებ-
და თავს. ბატონ-შუმბის გაუქმების შემდეგ კი გურული გაუ-
რბოდა მთავრობის სასამართლოს, გურულს ეწინააღ-
მდელოდ ვალსახლების „გაროზგენს“ და ასე წარმოიღვიწეთ—ორი
თვის ციხის შინიც საცმარისი იყო, რომ გურული ვადრო-
ლებულიყო. ზოგჯერ კი, ზოგიერთ გაიჭმია პირის მოხერხე-
ბით მარჯვე და ყოხილ ახალგაზრდა ეხელმწიფე ხდებოდა
გაქცეულა ნორმალურ ცხოვრებას. ჩვენ განვიმარბენით სანი-
მუშოთ აუწერით ზოგიერთა გურული ფირალის გაფირალების
ნამდვილი მიზეზი.

მოხერხებული კაცი იყო, მისი აფერული მოხერხების ამბავი დღესაც სახალაპროთ არის დარჩენილი. მელიტონი ოზურგეთის ბოზოღუმში დიდი გავლენის თავადი იყო. მასრის მაშინდელი უფროსი თავადი ი. დ. — ნი ხელში შეიპარა. მელიტონი სახლი-კაცებს და სახლიკაცები მელიტონს ვერ ეგუებოდენ. სხვათა შორის მელიტონს სძულდა მასრის უფროსის თანაშემწე თავ. ნაკაშიძე და ცდილობდა მის თავიდან მოშორებას და აი საამისო მარჯვე დროც დაუდგა. მელიტონმა ინახულა „გადამდგარი“ ლომჯარია და თავისებური მოჭარგული ენით უთხრა: — ოტია და ანტონი (მასრის უფროსი და მისი თანაშემწე) დიდი გადაკიდებულია, მასრის უფროსს უნდა მოკლას ანტონი და მე მითხრა ვუშონო კაცი, შენ თუ გინდა გეპატივის ხარის ქურდობა და საჩუქარიც — მიიღო მოკალი ანტონი.

ლომჯარიას რომ ყოყმანი შეატყუა, რომ გაუფანტოს ყოველი ეჭვი, ამიტომ უთხრა, რომ ის პირის პირ უჩვენებს მასრის უფროსს და ის თითონ ეტყვის იმას, რასაც ის ეუბნება მის მაგიერ.

მელიტონი ახლა ეწევა მასრის უფროსს და მოახსენა:

— ამ დათულია სურგულაძემ რომ აიგლო თავი და მისი შიშით ვარეთ თავი ვერ გამოგვიყვით, როგორ დაგემართათ, რომ ის ამდენხანს ვერ მოკალით... ყაძახი ლომჯარია ამბობს, მე მოვცლავ, ოღონდ მასრის უფროსმა ხარის ქურდობას რიამ მწამომბენ იმიდან გამანთავისუფლოსო.

— აბა, კნიაზო, მე არ დამიჯერა იმ ყაზახმა (ლომჯარიამ) ვიჩვენებ თქვენ და თუ თქვენ კი ეტყვი — რომ რაც მე დავპირდი თქვენ. აუცილებლად უფსრულეებთ, მაშინ ქე მოკლავს და ქეც მისიყენებთ თქვენც და მთელი გურიაც.

მასრის უფროსი სიამოვნებით დათანხმდა მელიტონის წინადადებაზე. მელიტონმა შეარჩია დრო და დამით, როცა „მატონიშვილი“, მასრის უფროსი, ამქრებში პროფერანსს თათა მოზდა, მაშინ მიიყვანა ლომჯარია და ჩაასაფრა მოხერხებულ ადგილას... გამოვიდა ოტია და ლომჯარიას უთხრა:

— ბიჭო, შენ რომ ვითხრა კნიაზმა იმას თუ მოკლავ მე მკითხე შენი პატივის ცემა, ხარის ქურდობა რა უნდა იყოს ავყავილეებ, გაგაკნთებ კაცს...

III

მესამე დღეს საღამოს მასრის უფროსის თანაშემწე ანტონ ნაკაშიძე როცა ის „ტროიკით“ სამსახურის გამო ოზურგეთიდან ნაგომარზე მიდიოდა, საფარიდან თოფით მოჭლეს... ლომჯარიაც გაფიროლდა და რამოდენიმე ხნის შემდეგ ისიც ტყვიის მსხვერპლი შეიქნა. არც მასრის უფროსს მიუღია — გუბერნატორობა...

ხოჯ-ოღლი.

კაცი და გველი

(სიარძიკ-სიგრუიანს)

კუძღენი ი — ბს.

ქვაზე ნათეს ვენ მომიმის, ანწლში თაფლი ვის უნახავს? ბრიყვი ბკუის სამყაროშიც, მანებელ გზას გამონახავს...
6. 8.

ძეძესა ირგვლივ მოსდებოდა, აღზნებული ცეცხლის ალი და ზედ გველი გასულიყო, აღარ ჰქონდა წყალის ძალი.

ამ დროს ძეძვის სიახლოვეს, გზაზე კაცი მიდიოდა და მოესმა მაღალი ხმით, ძეძვეს გველი გასწიოდა.

კაცსა ძლიერ შეებრალო შხამიანი იგი გველი და სთქვა: „თუმცა ბოროტია და წყეული ეს ცხოველი.

მაგრამ მაინც ვით სურდმული, ჩემსავით ჰგრძნობს სატანჯველსო, მადლისათვის გადავარჩენ ამ საზარელ ცეცხლსა მწველსო.

ხელთ ნაჭერი გრძელი ჯოხი, გადაუღვა ძეძვის პირსა, არ ეგონა, რომ ამით მოიმკიდა ვასპურსა:

მაგრამ საქმე არ წაივია ისე, როგორც ჩვენს მგზავრს სურდა; გამონატყორც ისარივით გველი ჯოხზე გამოკურდა.

და ეძებრა ფინთიხივით ვით ნასარლო თოფის ტყვიი და საბარლო გულ-კეთილ მგზავრს სწრაფათ ყელზე მოეხვია...

შეკრთა კაცი უბედური, დღე დაადგა მეტად მწველი ნახა ძალი ველარ შველის, ისევ ხეწუნას მიჰყო ხელი.

გველსა უთხრა: „რას სჩადიხარ! მოგენმარე ვით ძმა-ძმასო და შენ მტრობით მაჯილდოვებ, საკეთილო გულის თქმასო?!

გველმა უთხრა: „კარგისათვის, კარგი საქმე ვის უქნია?..“ და ორ-წვერა გესლიანი ენა, მწარედ გაუქნია...

კაცმა თვალი შემოავლო,
იმ გადაშლილ მინდორ-ველსა,
მაგრამ ვერვის ვერა ჰხედავს
მომხმარეს და პატრონ-მცველსა.

მთელს მინდორზე მარტოოდენ
ერთი ხეა მხოლოდ მღვარი.
კაცი ხისკენ გაეშურა,
შეწუხებულ, გულ-დამწვარი.

მას შესტერია, შეეხვეწა,
რა ტკივილმა შეაწუხა,
გამოსთხოვა სამართალი
და ხემ ასე უპასუხა:

„ხომ ხედავთ, რომ წარმოვადგენ,
საჩრდილობელ ტურფა კარავს
და ეს ჩემი შტო-ჩარდახი,
მგზავრთ სიციხიდან დიფარავს.

მაგრამ მიინც ვერ მოვიგე
დაწყველილი კაცის გული
და ყოველთვის მისგანა ვარ,
დასჯილი და წამებული.

ჩემგან ამ კმაყოფილებას
არადა სთვლის, ვერ იფერებს;
მაგიერად ტოტებს მამტერეცს,
მოსაქრელად თვალს მაშტერებს.

სანაცვალოს სიკეთის ქმნას
არ კისრულობს... უარსა ჰყოფს!..
და კარგს იხამ, გველო, მაგ კაცს
რომ შხამ-გესლით შეპყრიდე ცოფს!..

შესაბრალი კაცი თვალემს,
აქეთ-იქით აცეკებდა,
ამ საზარელ მტრისგან დამსხნელს,
მოუთმენლად დაიქებდა.

მაგრამ მწესა და მსხნელ-პატრონს,
იქ ვერავის ვერ ხედავდა
და საზარელ მტრის წინაშეც,
ველარაფერს ვერ ჰხედავდა.

დააწუმუნდა, რომ მისი ღღენი
დაითვალა, — დაილია.
სიკეთეს და სიმართლესა
ბოროტებამ ურცხვად სძლია.

რალა ჰქნას? შეეხვეწა:
„ღიდებულ და ძლიერო,
შენს ხელში ვარ ხომ, ბატონო,
გრძნეული და მეცნიერო.

შენ ხომ თვითონ გრძნობ და იცი,
რა სიკეთეც რომ გიყავი,
შენი ვადარჩენისათვის,
გავიწიურ ჩემი თავი.

ამისათვის მხოლოდ ერთს გთხოვ:
არ იხმარო მტრული ძალა
და ეს საქმე ორს-სამს ვკითხო
რაიც მოგვეცნ სამართალი,

ჩვენ იმაზე ვავიაროთ,
ნუ ავეყებით გულისნებებს,
ბრძენი ხარ და ნუ ასცდები,
სწორ მსაჯულთა სიბრძნე-მცნებას.

გველმა უთხრა: „კარგი, კარგი!
არ ჩავიდებ მავაში შურს,
წადი.. მეც ხომ შენთანა ვარ
ინახულე რომელიც გსურს“...

შეველე-მსხნელის მიძებარმა
კაცმა მინდვრად სარი ჰპოვა,
მივიდა და მუხლ-მოდრეკით,
სამართალი გამოსთხოვა.

ხარმა უთხრა: „კარგად იცი,
ეშრომობ ზამთარ ზაფხულითო,
მაგრამ კაცი ვერ მოვიგე,
მე ამ კეთილის გულითო!

ღლიურ შრომით და ოფლის ღვრით
მთლად ვასწორებ მთა და ბარსო,
ბოლოს ჯილდოდ თავს მომპირან,
მე საცოდავ შშრომელ ხარსო!

ჩემ ხორცს სუამენ დ ტყავს კიდე
ათას გვიარდ ხმარობენო,
ფაშე-ბუშტისას დაირს ჰმართვენ
და ზედ ცეკვით ჰმარობენო.

ამ ნაირი სამსჯავრო აქვს
თქვენ—კაცების ბოროტ ჯიშო,
თქვენში ვერვინ ვერ იპოვის
საწესრიგო ანგარიშსო.

თქვენგან ვითმენთ მულამ ტანჯვას,
წვალეებს და წყენასო
კარგსა ი და ვგ ვველი, რომ
ჩავასობდეს ენასო...“

გველმა რა ეს მოსმინა
კაცს ძალაზე მოუკვირა,
მისი სულის ამოქრობა
მოინდომა... დააპირა.

მაგრამ მგზავრმა დაინახა,
ტყის პირს მგდარი კულა-მელა,
მივიდა და დიუჩოქა,
გასაქირში სთხოვა შეველა.

მოასენა: „ეს ურწმუნო,
მოვარჩინე ცეცხლის ალსო,
და სანაცვლოდ რა კი მხარჩობს,
თქვენგან ველი სამართალსო“!..

„გათრახის“ ზარკაპი

საქართველო
განმანათლებლები

გველმაკ თავის ჩვენებისთვის,
ააწიელა შხამი—ენა,
ხარისა და ხის მოწმობა
მსაჯულ შერას მოახსენა.
მელა მაინც გაუროსხდა,
გველს შესძახა: „ბილოწო, ნასო!..
შენ არ იცი, რაც წესია
ჩემ სამეფო ქვეყანასო?
ხომ იცი, რომ ჩემს წინაშე,
სამართლისთვის მოწვეულხარ?
შაშ რახ წიწნავეს, რომ დანოქილს,
შენ კისტიზე მოხვეულხარ?
ძირს ჩამოდი!.. თორემ შენზე
განგარისებ სამეფო ძალს,
და სამართლად გადაგიწყვეტ,
რომ მიტეე ისევე იმ აღს.
გველი მყისვე დამორჩილდა,
ჩამოკურდა და ძირს დაწვა:
მელამ უტბად თავში დაძჭრა
თითი მაგრად და დაწვა.

უფთხარა: „შენი სამართალი
ეს არისო“—გველი მოჰკლა,
ზაფი ტანით შოკს გასტყორცნა
და სიცოცხლე შეუთოვლა.
მერე კაცსა მიუბრუნდა,
შინ წასვლისა მისცა ნება,
მაგრამ კაცს სული დაავიწყდა,
სიკეთე და მოთბინება.
და გულში სთქვა უსირსებოლომ:
„მოვკლამ მელსა, გვეხდი ტყავსო
და ღაბში ძღვნიად წაგიღებ,
უქათიმო ტოლი მყავსო“..
ეს რომა სთქვა, ჯობია ხელში
მოიმარჯვა დაიგრძელა,
უნდოდა, რომ დაეხლიშა,
მაგრამ უტბად გაფრთხა მელა!
და გაღურბა მწარე სიკვდილს
წესსა და რიგს გადამკდარი..
კრუ მსაჯულის ტყავში მყოფი,
შორით დაჯდა გულ გამსკდარი
და ჰვიკრობდა, რას ვერჩოდი,
ამ სწორს მსაჯულს, საწყალ გველსო!
ან შე რისთვის ვიმატებდი
სევდასა და საზანჯველსო?..
გველი სწორად სამართლობდა,
რომ აღჩობდა კაცს მართალსო,
რადგან კაცი, თვით მართალიც—
ფხით სთელავს სამართალსო!..

ნ. შრევენიძე.



ილია ზურაბიშვილი.

ბრძოლის ველიდან (სატრაგია)

სალამა გიძენი შორიდან
ჩემო ლამაზო თინათ,
უშენოთ მე აქ სიცოცხლე
მომბებრდა— მომეყინათა.
შეილი თვე არის დავშორდი,
ალარ ვყოფილვარ შინაო;
ნეტავი ერთხელ გნახიდე,
ეს ნატურა აიხილნათო. —
არ ვიცი, შენი ამბავი,
გული სწუხს, გული ღონდება;
შენთან გავლილი დრო—ეგი
როდესაც მომავანდება, —
შენსკენ მოვფრინავ, გონება
ბოძოლის ველს წამით შორდება;
ვინ იცის—აბრე მოვალ, თუ
აქ ბევრი დამაყონდება..
გისაუბრობ იქ ყოფნა,
ღღინათი
ღღინათი მაქვს განამწარები,
მაგრამ რა უტყობ, გენაცვა,
ხომ ეერსად გაეპარები? —
ვიბოძოლებ სანამ კი ძალმიძს,
სანამ შერჩის კლავები,
ან სახელს ენახავ, მოგიფუნ,
ან მიწას მივებარები...

იქნება ჩემზე სტიროდ,
კრემლა გატყინა თვალები?
თუ გადაუტრია ამ ყოფის
მოვალ და გენაცვლები.—

ან იქნებ სხვაზე გამცვალე
და დამიწყე კიდევ;
მაშინ მიჯობდა სიკოცხლე
რომ სიკვდილისთვის მიმეცა.—

შენგან დალატი, თინჯო,
მე ნუ მასწინოს ზეცამა;
აქ გული ისევ გაწყალდა
და სული უღვთოდ ეწამა.

აქ ყველაფერი ბრძოლის ღმერთს
უსიტყვოდ დამონებია;
აქა სიკოცხლე, სიკვდილი
ერთმანეთს ჩაჭკონებია.
დღეს სიკოცხლითა დასკესს
ხვალე არ ვასთენებია
და უღმომგელი მას ტყვია
უწყალოდ დასჯახებია...—

მე კი ჯერ არა მიშხეს რა,
გმუნებო და ვდგეარ მაგრაჯი...
არ გაფურბიფარ სიკვდილს მას...
არც ვეგებები ძალათა.

ბევრი ვეცალო, რას ვიხამ,
ვინ შესვლის ბედის ბრუნვასა?
ვმადლობ მე იმას, რომ ჯერედ
არ იშლის ჩემზე ზრუნვასა...
ნუ დარდობ ჩემზე, თინჯო,
კრემლს ნუ დაიდენ თვალზედა;
შენათ მიგულე, გენაცვა,
(კი არ გამცვალო სხვაზედა).
ვინ იცის, აწვე ბედისგან
არ დაგრზე მოძულებული,
გადაგრზე ამ განსაცდელს და
მოვიდე გამარჯვებული.—

შენც კარგათ დაიხვედი, ყოკობო,
ოდეს მოვიდე შინაო;
ტყბილათ შეგიტკობ, შემეტყბე
ლაშაზო ჩემო თინაო.

გ. ლადოშვილი.



გ. მ. ლუმბაიძე.



გ. შ. მეტრეველი.



მ. ი. ფირცხალაიშვილი.

საქართველოს მახინჯი შვილები.

„მართალი“ დღევანდელ ნომერში მოთავსებულა სურათი სამართაზო ჯეელი მშაბიეების. ამ ვებატონებმა თავის ამზანაგებთან ერთად შარშან წინ რუსეთში ჩიილინეს სამარცხენო საქმე, გამარცხეს გემი და მით დამისახურეს ექსპროპრიატორების სახელი.

ერთ დროს რუსეთში ქართველებს დიდი ნდობა ჰქონდათ მოპოვებული. ქართველს სამსახურში და სამუშაოზე დილის სიმოწონებით იღებდენ, რადგანც ქართველები განთქმულნი იყვნენ მუსყაითობით და პატიონებით. საუბედროოდ განმთავისუფლებულ

მომარაბას მოყვა ერთი ყოვლად სამარცხენო საქმე. ბევრმა ახალგაზრდამ ხელი მიყო სხვისი ქონების მოთვისებას. ის, რაც წინად ქურდობათ, სხვისი ქონების მოთვისებათ, ყაჩაღობათ და ეგზაკობათ იყო ცნობილი, და მაშასადამე დიდ დასავგობ საქციელათ, გამოუცვალეს სახელი, მოქმედებას დაარქვეს ექსპროპრიაცია, ხოლო ეგვაცობის ჩამდენმა პირებმა თავის თავს უწოდეს ექსპროპრიატორი.

ბევრი ახალგაზრდა, რომელიც ქურდობას სიზარცხენო ხელობათ თვლიდა და ქურდობის ჩამდენს სამარცხენო ბოძზე აკრავდა, ექსპროპრიატორ-

რობა ჩათვალა საემირო და მოსაწონ საქმეთ ბევრი კადეც ამაყობდა იმით, რომ ექსპროპრიატორია... ამას მოყვა საშიშარი შედეგი: ხალხმა შეიძულა მოძრაობის ზოგიერთი მონაწილე პირები და მით შეილახა თვით წმინდა საქმე, რადგანაც ბევრმა (ახალგაზდათაგანმა) ის დასკვნა გამოიყენა, რომ თითქოს, მოძრაობა სხვისი ქონების მითვისება იყოს და მდიდრის ძალდატანებით ვალატაკება და მტეტი არაფერი. ცხადია საქმის ნამდვილი მოყვარულები ექსპროპრიატორების თაერშს დიდს წინააღმდეგობით შეხედენ და მათი საქციელი დაგმეს; მაგრამ ძნელი დარჩა ალაგმვა ახალგაზრდების და ძლიერ ბევრი ახალგაზრდა, რომელიც მომავლის დიდს იმედს იძლეოდა, მსხვერპლი გახდა ამ სამარცხვინო ხელობის

ქართველი ბევრი ახალგაზდა გაეშურა რუსეთში და შორეულ აღმოსავლეთში და იქ ბევრი თავხედური თავდასხმა მოახდინეს და მით ქართველებს დიდთ გაუტეხეს სახელი და დაუქარგეს ნღობა. ერთ ასეთ თავხედურ თავდასხმას, ესე იგი ექსპროპრიაციას ჰქონდა ადგილი 1913 წელს, 16 აგვისტოს, დონის-როსტოვში, მდინარე დონზე. ამ დღის ქართველებმა: მეტრეველმა, ლუმბაქემ, ფირცხალიაშვილმა, ელბაქიძემ, შეველიძემ და სხვებმა იიდეს ბილეთები და გაყენენ გემ „პეტრეს“, როგორც მგზავრები. გზაში ასტეხეს სროლა, გააჩერეს გემი, გაძარცვეს გემის კასსა. სასიკვდილოთ დასტკრეს კაპიტანის თანაშემწე, წაიდეს: 75,000 მანეთი ქაღალდის ფული, ერთი პარკი ვერცხლის ფული—1300 მანეთის და 10,000 მან. სესხის ქაღალდები. ასეთი უხვი ნადავლის შემდეგ გააჩერეს გემი და ნავით გადავიდნენ მახლობელ ტყეში. ტყის მახლობლათ მათ უცდიდა წინათ ვანზრახული ავტომობილი. ექსპროპრიატორებმა გაიყვეს ფულიები და ცალ-ცალკე ფიქრობდენ ტყეს გასკლოდენ, მაგრამ მეორე დღესვე ყველანი შეიპყრეს და ფულიც ზედვე აღმოაჩნდათ. იოლი ნაშთავრით გამდიდრების მოწყურებული ახალგაზრდების საქმე წლებადნაღობის არ გარჩეულა, წელს კი 7 თებერვალს დაიწყო როსტოვში ამ საქმის გარჩევა. და ცხადია ყველას მიუსაჯეს კატორა. ჩვენ დღეს ვთავსებთ ამ საქმის მონაწილის სამის სურათს და ამით ვგმობთ და გვიცხავთ ექსპროპრიატორთა სამარცხვინო საქციელს.

პეტრე.

სადგურზე

(სურათები)

I

გურიის ერთ-ერთ რკინის გზის პატარა სადგურზე აუარებელ ხალხს მოაუყრია თავი. მოხუცი, ახალგაზრდა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ერთმანეთში ირვიან... სიცილი, ტირილი, ჩუმი ქვითინი ყველა, ეს ადამიანს რაღაც ღვაწვრივთ ხვდება გულს. ყველა ერთ და იმავე გრძობას შეუპყრია, ყველას სახე სევდიანობას მოუტაცეს... ყველას ჩამოსტრების პირის სახე. აქა-იქ ისმის სიცილი, მაგრამ ეს სიცილი შხამ-გესლით არის სავსე... ეს სიცილი უფრო სევდის ამშლელია!.. მაგრამ ამავე დროს არის იმედის მომცემიც... იცინიან... და ამ სიცილში ნათლათ გამოსტრების მათი სულიერი მწუხარება... მათი მთელი სევდა-ნაღველი!..

რა იყო, რა მოხდა?..

ეს კითხვა ყველასთვის ახსნილია!.. სად მიდის ეს რჩეული ვაეკაცები?..—იქ, სადაც სიკვდილი უფრო ახლოა!.. იქ, საიდანაც საქნელოა დაბრუნება!..

აქ ნახავთ წელში მოხრილ მოხუცებულ ქალებს და კაცებს, ახალგაზრდა ქალებს, მათ შეილებს, რომლებიც გამოპოკონია გასაცილებლად თავისიანებს.

ნახევარი საათი კადეც დარჩენილა მატარებლის მოსვლამდის. ნახევარი საათის შემდეგ გულის ტკივილით უნდა გამოეთხოვონ ერთმანეთს, ბევრის თვალები ცრემლით უნდა ამოიგოს, ზოგი მარჩენალ შვილს ეთხოვება, ზოგი ქმარს, ზოგი ძმას, ზოგი კადეც ნაცნობ მეგობრის ვანშორებას ნანობს!

ხალხი სადგურის ბაქანზე ბუზბივით ირვიან... ყველას სულიერი განცდა ერთი და იგივეა, ყველა რაღაც საგრძნობლად წუთს ელის?.. დრუბლიანი ცაც თითქოს თანაუგრძნობდეს აქ მყოფთ, სევდის სამოსელში მხვევს ქვეყნის მნათობ მზეს!..

თითქოს ისიც სატიროლათ ეშხადებო, უფრო და უფრო იზიადედა თავისკენ შავსა და სევდიან ღრუბლებს!..

ერთი ქერა, შუა ხნის კაცი, ძალდატანებულის ღიმილით სდგას წელში მოხრილ დედაბრის წინ, და აცრემლებულს საიმედო სიტყვებს ეუბნება:

— ნუ ტირილ დედა! ტირილი არ ხარგა. რა ვუყოთ, რომ მივალ, სადაც ამდენი ხალხი მიდის, იქ ვითომ მე რა მიქრის! ესენი ყველა მიდის.

უთხრა შვილმა აკრემლებულ დედას და ხელით ანიშნა შეგვეფუძულ ხალხზე.

— ვაი, შენ დედას, შვილო! — მწარედ ამოიხრა დედა და ცრემლად მოიშორა, — არ მოვსწრებოდი ამ დღეს, ჩემდა ბედნიერება იქნებოდა, რაღაც მინდა სიკოცხლე უშენოთ, შვილო! რიდასი იმედი უნდა მქონდეს, რაღა მეცოცხლებას!.. რაღათ მტოვებ შვილო, რაღათ, მეც წამოვალ არ მოგშორდები!.. და აკრემლებულმა გულზე მიიკრა ვაჟაკო შვილი, ცდილობდა ცრემლები შეეკავებია, მაგრამ ვერ ახერხებდა, მის დანაოჭებულსა და დატანჯულს სახეზე ცრემლები დააღლებით ჩამოსდიოდა.

— ნუ გეშინია დედა! მე ღმერთით მშვიდობით დაგებუნდები.. მე არაფერი მიკერს, შენ მოუარე მხოლოდ შენ თავს, ყველა მეზობელი შეგა შენს მდგომარეობაში, ყველა მოგხედავს, სანდროსაც ქე დაუმოწმე ყურადღება მოგაქციოს... ახლა მასაც აუკრთოლდა ხმა, დედის სიბრალულმა მასაც მოსტაცა ცრემლები, მაგრამ საჩქაროდ მოიშორა, რომ დედას არ შეემჩნია, არა ნაკლებ სწუხდა თვითონაც დედის მოშორებას, მაგრამ არ იჩინებდა და დედის საწუგეშოთ გულს იმაგებდა.

აკრემლებული ცოლიც ასე აბარებს თავის ქმარს: — ხშირად მომწერე წერილი, ხომ იცი რა ფიქრშია ციქნები... არ დაგვივიწყა!

ერთი ქალბატონი შერეული, შუა ხნის ქალი ასე ესაუბრება ახალგაზრდა ქალს:

— მაგის შემყურემ, როგორ არ ვიტყვო შვილო! მაგის მეტი რა მყავს! საწყალი მე მიიმედებს და თითონ დანა პირს არ უღებს, რა დიემართება, ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის...

— რა ვქნათ დედა, რა, ასე მოიტანა დროებამ და რას იქ, ეჭ, ცოცხალი ადამიანი თურმე ყველაფერს უნდა მოყოლდე. ჩემი ძმები ილიკო და სასნო ორივე წაიყვანეს, ჩემი ბიძაშვილები სამივე წავიდნენ... მთელი ოჯახის ბურჯები!.. მარა რას იქ... თავს ხომ ვერ მოიკლავ, ქვეყანა მიყავთ და შენს შვილს ვილა დაგიტოვებს!

— ქალი, კი მარა, მე რამ უნდა მანუგეშოს, იმას რომ რამე გაუქირდეს?.. ოი, იმათ კი დაექცათ სამართალი!.. ისინი რაღაც მიწის შემქნისათვის ომობენ და ჩვენმა შვილებმა კი თავები შევაკლან... მაგიდან ველოდი დატყობას, მიწის მოყრას, — ვაი მის დედას უბედურს!..

II

— მშვიდობით კეპე! მაინც ქე გეზარებოდი დასანახავად და ამა, ქე მივდივარ, აწი აღარ შეგაწუხებებს ჩემგან აღერსიანი სიტყვები... ღმილით ჩაუ-

რა გვერდზე ერთმა ახალ გაზრდა ყმაწვილმა 17 — 18 წლის გოგოს და თავ დახირბა განქმარდა.

— ანდრო! შენ ესლა ყველაზე დაგვიწყებდა, წერილი ხშირად მომწერე მაინც... ეუბნება შეყვარებული თავის სატრფოს, ეჭ, თებრო!.. წერილი კი მოგწერე მაგრამ, ვანა ის ჩემს მაგივრებას გაგიწევს... ათი წელია შენს სიყვარულს დავატარებ ამ გულით, და ესლა კი ეს გული მიბრძანებს ცხელ ტყვიას მიუშვირო ვასავმირავად.

— რატომ ამბობ მაგ სიტყვებს, ანდრო! მე იმედი მაქვს რომ დაბრუნდები... ვაჟაკიც ვერ გულგატეხილი არ უნდა იყო.

— ეჭ, დაგებუნდებით ასში ერთი, და ის ერთი ვინ იცის რომელი ბედნიერი იქნება!..

გაისმა მატარებლის კიეილი, ხალხი მიაწყდა სადგურის კარებს...

ერთ წუთს მთელი ბაქინი ხალხით გაიქედა, ყველამ ერთ მხარეს დაიწყო ცქერა, ორი წუთიც და, მატარებელიც გამოჩნდა, ის ელვის სისწრაფით მოსრიალებდა რკინის გზის ლიანდაგზე, წუთიც და ის უკვე სადგურში ჩამოვდა. დაჰკრეს პირველი ზარი, აუარებელი ხალხი მიაწყდა მატარებლის კარებს, ზოგს შობლებიც მიჰყვებოდა ბათუმამდის, ზოგს კიდევ ნათესავები, ხალხი უფრო აირია, დადგა უკანასკნელი წუთი გამოთხოვებისა, და ეს წუთი უფრო მძე და მწარე შეიქნა წინანდელზე. აირია სხვა და სხვა ხმები, გამოსამშვიდობებელი სიტყვები... სევდისა და მწუხარების გამაორკეცებელი.

აი, უკანასკნელად გადაეხევიენ ერთმანეთს დედა და შვილი... აცნობნი და ნათესავები... გულში ნაგუბი ამ უკანასკნელ წუთს ვერ შეიმაგრეს... ბეგრმა ხმა მადლოთ მოართო ტირილი.

მატარებლის პატარა სარკმლებიდან მრავლათ მოსწამს მიმავალ ჯარისკაცთა თავები; ისინი დაღვრებულად შესტკერაან თავის ნაცნობ სადგურს და ჩუმის გულის ტკივილით ესალმებიან... სადგურიდან მათ თავისიანები უკანასკნელ საღამს აწვდიან... აიმედებენ... „წერილი ხშირად მოგწერე ხშირად...“ დაჰკრეს მესამე ზარი, დაჰკვილა მატარებელმა, და ნელ-ნელ, ზოგნით გაშორდა სადგურის ბაქინს... ხალხი ბაქინზე დიდხანს არ დაშლილა... გულის ტკივილით გაჰყურებდნენ მიმავალ მატარებელს. მირბის... მიჰქრის მატარებელი, და თან მიაქვს ურიცხვი ჯან-მრთელი სიკოცხლე და ვინ იცის... ნახავენ კი, ისინი კვლავ თავისიანებს?.. თავის სახლს, თავის კერას?.. არავინ იცის...

დ. ჭანჭავთელი.



ერთი არ გამოდიოდა „მათრახი და აწი მგონი სა-
მოცი გამოვა... ახალი ვაზეთის გამოქვეყნება ამ
სიბერის დროს ბაბამაც არ გამოსცქნ ვაზეთი თვარა
სხვას ვინ ჩივია... შეიღობით ძამია, შეიღობით, თვა-
რა იი ჩენი მუსაფიე ჯაბაურის სახალხო სცენის
ისტორიასავით გაგრძელდა.

რ. ჯიბილ.

ომის ჭორები

ომი თუ ასე გაგრძელდა,
თუ რომ ღმერთმა კი გვიშველა,
ჩენი ხალხი შეცნირვალ
შეიქნება მგონი ყველა..
ღილაღობად ვახდებიან
მეწაღე და დალაქები:
სულ ზეპირად შესწავლეს,
მთელი ქვეყნის ქალაქები..

სადაც წახვალ და წამოხვალ
ბასია გამართული,
ერთი ამბობს:
— „გერმანიას თურმე შემოაკლდა ფული,
მეგობრებსა შეესესხა,
მაგრამ ერთმაც არ უშველა!

(კაცი როცა დაეცემა —
განზე გაულდგება ყველა).
ბოლოს ხონთქარს მიმართა
შევედრა, დიღირჯა!
ხონთქარმა კი დარდისგან
სულ წყერები დაიგლიჯა:
— „შენგნით ვცხოვრობ, შენ კი მე მოხვ
სიმღიდრეს და ქონებასო!
ნუ მატყუებ, ყბას ნუ მქცევ
მაშაშენის ცხონებასო“.

ავსტრიასაც კი მიმართა,
თურმე სპარსეთისაცა სთხოვა,
მაგრამ რაკი ერთი გროში
ველარსად ვერ მოიპოვა,
გაიწეწა თმა და წვერი.
მომსწრე ასეთ ვასაჭირის
ალარც სვამს და ალარცა სკამს,
დღე და ღამე მოსთქვამს, სტორის:
„რით ვავკულო ზარბაზნები
სამოც დიუმიანიო,
რომ მე მრავალ მტრისა ციხეს
მივაყნო ზიანიო,
რით ავაგო ჯავშნოსნები,
ან წყალ-ქვეშა ნავებიო,
რომ ინგლისის „პარახოდებს“
დაურთქვეო თავებიო.

ტელეფონი

— გავიმარჯოს ღმერთმა თუ კაი მეზობლები
გყავს. რაშობი ბესარიონ! რაფერაა შენი საქმე? რეი-
ზა კაცო? აკი შენ ამბობდი უმისოთ სიკოცხლე არ
შემიძლიაო? ასე მალე გაქრა თქვენი სიყვარული?
პოოო, თუ ასეა საქმე მაშინ-კი... თუ კი ყველას
არშიყობა დაუწყო მაშინ რად გინდა მაგისტანაი..
აჰ? ჩემი? ვერა ძამია, ჩემს სატრფოზე ჯერე გლახას
ვერაფერს ვიტყვი, ნამდვილი გმირია. დღეი და ღა-
მე მეუბნება მიყვარხარო და მეც ქე მჯერა, მარა
თუ რამე ეშმაკობა შევატყვე მაშინ-კი „პარაშაი“
სამუდამოთ... „პრივაშიკების კლუბში“? რაფა არა,
ციყავი... ძან მოწყენილია ზოგიერთი... იმიზა,
რომე ლეინოს აღარ ყიდიენ და ისე რათ უნდათ
კლუბი... არა, ღმერთმა დამიფაროს. ყველაზე არ
ჩივიე მავას, მარა ზოგიერთს ძამია ფცხებზე კილია
შენი საშეთხელოცა. ლექციაც და სექციაც...
რაიო? პოეტობა დეიწყე! რა გიქირს მერე, ყოლი-
კაცი პოეტია ახლა და ვითამ რაფა შენ ვისზე ნაკ-
ლები ხარ.. იი ქართული წერა კითხვა შენ ქე
იცი და სხვამაც.. დაბეჭდვის რა მოგახსენო, მარა
ნუ გეშინია მე გასწავლი წაშალს, რომელიმე რე-
დაქციის წევრს მუუნათღე ბაღანე და საქმეც გეი-
ჩარხება... საბურთალოს აუდიტორიაზე ამბობ? რაფა
არა წევიკითხე, რეცისორად ბეგლარა მუუწვევით
და სუფლიორათ საფაროვი.. გენცხადება? კი ივიც
წაფიკითხე და ბაწე ქე გამეკინა გულში, ამდენნას

ივანიკას ნახატი

ან და როგორ ავაშენო სწრაფი ცეხილები, რომ პარიზი კვლად გახდეს ჩემგან შენაშენებო.

რით გავქელო ვაუბნიკი, სწრაფი ტყვიის მურქვეველი, რომ რუსეთი დავამარცხო, დაიწყო დაუძღველია.“

მაგრამ ფული თუ არა აქვს და წაუხდა ანგარიში, მაშინ შორხა მისი საქმე ტყუილია მოთქმა-ვიში“...

— „კმარა, კმარა ტყუილებით ნუ გამოგვიქუდე ყური!.. გერმანიას ფული კი აქვს, მაგრამ შემოაკლდა პური.“

ჯარი თურმე შიშნისღებან ისოცება უბედური და ხალხშიაც ინერგება მეფისადმი მტრობა-შური.

გზები ყველგან შეკრული აქვს, ამწყვედელი არის ჩინში — ფულები რას უშუქლის ბევრს რომ ექირას ჯიხში?..

რალა უნდა გავაგრძელო მისი საქმე წახულია, დღეს ბევრი რომ იფხაკუროს, ყველა ვადა გასულია“...

— „კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, გულდასვით ნუ გავგებრე! ეგ კორები სხეგმა თუ თქვა, შენ როგორღა დიჯერე?..“

გერმანიას არ აკლია არც სურსათი, არც ქაქარი, არც ხმელეთის იარაღი, არც ჰაერში სასწებარი,

მაგრამ იმას შემოაკლდა — ალარა ჰყავს მხოლოდ ჯარი. და მიტომაც, მეგობარო, მისი საქმე კუდათ არი.

იქით ფრანგი ეჩხუბება, გვერდზე ებრძვის ინგლისელი, აქეთ კიდევ რუსის ჯარმა სულ მოსწყვიტა საწყლებს წელი. და ქნას ან კი, როცა რიცხვით ჩვენს ხუთ კაცზე მოდის ერთი და იგინმა გაიმარჯვოს?.. ისევე შეეწყვეა ღმერთი“.

იმე! რომ იტყვიან, მეორეთ მოსვლააო — სწორედ ეს არი, მეორედ მოსვლა ცეხილით იქნება? ქვეყანა ალშია გახვეული.

გერმანიამ ჩხუბი დეიწყო, რო დეიძხეს სოფელში, მე ჩვენი მეზობელი გერმანიე მეგონა, მართლაც, ღიდი ბოროტი კაცია ეს ოჯახ დასაქცევი. ღუქანში არ ატეხოს აყლო-მაყალი, იქნება გავაშველო მეოქი.

ფვრინდი ღუქნისკენ. ჩვენი გერმანიე კი არა, თურმე სახელმწიფო იყი და რა ვიცილი. რა დავიფიცოთ, ღმერთს მართლა უყვარს და სწორედ მართალი გითხრა; იპანიას ციკნობდი, აგერ გუშინ წინ გვეჩხუბა, შე კაცო. და ოსმალთა თათარმა, თავის ღღინი და წუთისოფელი ჩვენთან ჩხუბში დალია. და როგორც აქამდინ გეიმარჯვება, ისე გაამარჯვებს თავისი სალოცავი.

რაცხას გაამარჯვებინებს გერმანიეა თუ გერმანე აღდგომა და ხვალაო, — დავინახავ.

არა რო აღარ დაშინდა ეს თათარი ჩვენთან ჩხუბს! ვი არა ხალხი იხოცება ასე უღმერთოდ თუ არა, სახელმწიფოები მაინც დევისწავლენ, შე კაცო რაი ეს „ვანი“, დეიწყო, იმდენი სახელმწიფოები გამოჩნდა, რომ სიზმარში არ მომზმანებია, თორემ ცხადათ რა ხატი მომაგონებდა. „საფრანეთიო“, „ბერგაო“, „სერგაო“, ინგლისო“ და სხვა. ეს ინგლისის თხა კი ვამიგონია ბაზარში მეღუქნედან, მარა ამგვარი სახელმწიფო თუ არსებობდა, სწორედ პირჯვარი დამიწვრია.

გუშინ, შე კაცო, მეზობელი მოეარდა გადარეული:

მიშველე, ივანიკა, დაღუბულვარ კაცი, ერთი შეილი მყავდა სალდათად. წამართუეს, ესო ამბავი მომივიდა „შორაპნელი“ დაუჭრია, საავატყოგოში წოლილა; მინდა ფული გოუგზანო ერთ თუმანზე მომათობინე ხელიო. ფული მივეცი, მარა ვაოცებით კვითხე: იმ ოჯახ დასაქცევს რა ინტერესი ქონდა რო დაჭრა, ჩხუბში მიღიდა და იქ გამოფრინა ბიკობა, ალისთან თუ ღონე ეჩოჩდა, რალა თავის მეზობელს დეტეაკა მეოქი.

მეზობელი კი არა, შენ გენაცვალე, მარჯვენა ფეხის მოჭრას უპირებენ, ისე შხამიანი ყოფილა ი ზარბაზნის ყუმბარაო. შხამი და ძიმწარე არ მოეღია მის გამყეთებელს. თურმე „შორაპნელი“ ზარბაზნის ტყვიას რქმევია და რა ვიცილი მე შავდღებუ დაბადებულმა. ნეტა ისე არ გადირონ „ქუთაისელი“

ბეშტია.

არ დაარქვან, თუ არა შორაპნელში ჰქირ მოგვამოს. დაარქმევნ, აბა რას იზამენ ჩემსავით დასოკოვებულნი ხელემა არა აქეთ მუშაობით, ჯიან და ფიქრობენ—რას რა დაუარქვათო.

ჩხუბის გათავებას არ აპირობენ, ან რამ უნდა გააშველოს ამდენი ხალხი.

ჩემ ვეზოში რომ იდარჯებს მოუვით ჩხუბი, რო დავერო კეტით, თუ არ დავბოცე ან და ჩემი ცოლი პელაგია არ მომეშველა, შენ არ მომიკვდე ვერ გაუაშველა. ამდენი ხალხის გაშველება ხომ ხუმრობა საქმე არაა?..

ჩიხელი.

ს ა ტ რ ფ ო ს

(სახსოვრად ა. მ—ს)

სიზმრად ვნახე შვენიერო
ხელში გეპყრა ტურფა ვარდი:
ნახად მორთულ მოკაზმული
დაიინახე შემოიყარდი;
...ქელა სხივი მომხვდა
გულში იგრძნო სიხარული,
ნახ-ნარნარო, ტრფობის ნიშნად
გიძღვენ გრძობის თავიგული:
შემოგვიცე სიყვარული,
ტურფავ ჩემად დაგისახე...
გამელვია ვაპქრა ყველა
გეძიე და ვერა ვნახე.
მომეკლინე კვლავ ღვთაებავ,
ფიცი წრფელი მოიგონე,
მე შენთან ვარ ვანწყურელი
მომეძევიე—ჩამეკონე.

გოგია.

ლ ა თ ა ი ა

(წუნ ზოგ-ზოგ რჩინსტ-ორატორებისათვის).

ბატონი. ბიკო, ანთიმოს, წადი შვილო, ექიმს შევატყობინე რომ მოვიდეს!.. ძალიან ჩქარა მოვიდეს, აეთა ვარ, ძალიან აეთა ვარ!

ბიჭი. კი ბატონო ახლავ. (მიდის)

ბატონი. მოიცა ბიკო, ექიმი რომ დაწმუნდეს, რომ მე ძლიერ აეთა ვარ და ჩქარა მოვიდეს ასე უთხარი, რომ თქო თავი ისე დასიებია თქო უთხარი, როგორც აღდაშის სახამსრო თქო გესხის, აბა გასწი ჩქარა?..

ბიჭი. კი ბატონო, (გარბის).

ბატონი. ბიკო მოიცა, ბიკო, მოიცა! რომ მართლა დაგიჯეროს და იმ წამსვე გამოგყავს ასე უთხარი რომა თქო ჩემ ბატონს ვეჩიბო, ისე აქის დასიებულთ თქო, როგორც ნესვები თქო.

ბიჭი. კი ბატონო (მირბის).

ბატონი. მოიცა, ბიკო! იქნებ კიდევ არ დაგიჯეროს და ასე უთხარი რომა თქო, ჩემ ბატონსა თქო თითები ისე აქეს დასიებული როგორც კიტი თქო. აბა ჩქარა!..

ბიჭი. ახლავ ბატონო ახლავ გახლავ (მირბის)

ბატონი. მოიცა ბიკო, უფრო და უფრო რომ დაგიჯეროს უთხარი ექიმს ჩემ ბატონს ცხვირი ისე აქეს დასიებული თქო როგორც მანგლისის კართოფილი თქო აბა გასწი საჩქაროთ.

ბიჭი. (განციფრებული) ბატონო, თქვენ იმდენი დამაბარეთ, რომ საში დღე რომ ვიზებორო მინც ვერ დევიმხსომეფ და ვერც გადავსცემ და მანამდე შეიძლება თქვენც სული წაგძვრეთ. აბა, ერთს ვიზამ მე, წავად ექიმთან, რომ საჩქაროთ გადავსცე და საჩქაროთ მოვიდეს ასეთ ვეტყვი: ექიმო, ჩემი ბატონი ბოსქანი ვაზხდარა და მობრძანდი თქვა!..

იოვანი

ხმა თელავიდან.

28 თებერვალს მოხდება საზოგადოება „კახეთის“ წლიური საზოგადო კრება. კრება განიხილავს შემდეგ საკვებს:

1) ამ ოცი წლის განმავლობაში რამდენი უზარალნია საზოგადოებას.

2) რამდენი ვალი აქვს.

3) რამდენ წევრს რამდენი ფული გაუტანია ავანსად და ახლა ახლოც აღარ ეკარება.

4) კრებას წარუდგება ადრესი იმ პირთა, რომელთაც კომერცია ესმის. ულოკავს ოცი წლის მოღვაწეობას და ამასთანვე დასძენენ: ნუ გეშინიანთო სულ ოცი წელიწადია, მეტი ხომ არ არისო რომ სულ ზარალში ხართო, თქვენ ნახეთ 60 წლის შემდეგ როგორ გაფართოვდეს თქვენი საქმეო და არამც თუ მოსკოვშიო ტაბახმელაშიაც როდელენიებსა ვახსნიოთ.

5) თავ. ლევან ვანხაძე (გამგეობის თავმჯდომარე) კრებას წარუდგენს მთელს მოხსენებას, თუ როგორ დაუბრუნებთ თბილის ტანისამოსი მეომარა და დაქრიდებს. სიხარულით დასძენს რომ ტანზე ყველას კარგათ დაადგაო.

6) სულხან ჭავჭავაძე (გამგეობის წევრი) წარუდგენს კრებას თავის აღტაცებას, რომ, როდესაც

დეკემბერი

(„მათახნი“ საკუთარ კორესპონდენტებზე).

მარტო იყო მოვალეებს ადვილათ იშორებდა: რა დროს ეგ არისო, ხედავთ ჩვენი თავმჯდომარე კეთილ საქმეშია გაბმულიო, თბლ ტანისამოსის დასარიგებლათ არის წასულიო.

7) წაითხულ იქნება საიურგანიზაცია კომისიის ოქმი, ოქმში სხვათა შორის მოხსენებულია: ღმერთი რჯული, ჩვენი ბრალი არ არის, ვინც ამოგვიჩია, იმათი ბრალია, თორემ აბა რა გვემის ჩვენ ან კომერციისა, ან ღვინისა, ან ბოქვისა, ან ობრუნებისა. რა გვექნა უნდა დაგვეწერა რამ თუ არა?!

გახოვთ გვაპატიოთ, აღარ ვიხამთ აღარ!!

8) მეღვინე მკელდიშვილი წარუდგენს ვრცელ დოკლადს ამ სათაურით:

„ღმერთო, აბატე მათ რამეთუ არა იციან რა რას იქმნენ“!

9) წვერებელ ყოფილი ი. ვანამე და კოლა აბაშიძე კრებას წარუდგენენ უზარ-მაზარ შრაპნელს, რომელიც იფეთქებს. ვისაც მოხვდება ვი მისი ბრალი, ვინც გადარჩება—ალბათ დარჩება.

10) გამგეობის თავმჯდომარე აპირობს გაჯიუტებას, რომ უსათუოთ „ნდობის საარჩევნო კენჭი“ მიყავითო.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა: შესაძლებელია კრებამ არ შეიწყნაროს ეს თხოვნა მაგრამ, როგორც თავმჯდომარის ხასიეთი ვიცი თავის ხელით გადმოიღებს საარჩევნო ყუთს და იყრის კენჭს „ნდობისას“.

11) წაითხულ იქნება როსტოვი განყოფილებილამ მოწყობილი დებეზა: საქმე მშვენიერათ მიდის, ნუ შედრკებით, ამ რამდენიმე თვეში ოთხას თუმნამდე ვიხარალეთ, იმედი მაქვს წლის ავზე ცხრასს თუმნამდე ავიყვანო“

განყოფილების გამგე ანდრია სარაჯიშვილი.

ბაქოლამ მოწყობილი დებეზა. წელიწადში თქვენ ზარალობთ ბაქოს განყოფილებაში სამას-ოთხას თუმნას. მე პირქით მოგცემთ სამას თუმანს წელიწადში, ოღონდ მე გადმოგეცით ვაქრობა(??!!) გამგე და გამგერლიძე.

წაითხულ იქნება აგრეთვე კახეთის ყველა მევენახეთა და მემამულეთა დებეზა: მზათ ვართ ღვინო მოგყიდათ ყველა არა წვერებმა, მხოლოდ მართო ღვინა ვიხამე მოვიღეს სასყიდლათ და მოსარიგებლათ.

P. S. კრების ანგარიშს თავის დროზედ წარმოგიდგენთ.

in-man.

თელავი. 28 თებერვლის საზოგადოება „კახეთის“ მიადამოებში მოხდება საშინელი ბრძოლა. ერთის მხრიდან გამოვა თბლი ტანისაშობით პოლკოვნიკი. მან თვისი რაზმი ორათ გაანაწილა: შუაში თვით იქნება მთავარ სარდლათ, მარჯვნივ პოზიციებს დაიქვრს ძველი სახლების ზედაშვედელი, იგივე საშვედრო მოსამსახურე. მეუღლე მისი მოწყალეთა დების გუნდს ჰკრებს. მარცხენა ფრთას შეიმავრებს იორამ ალაზნის ერისთავი. იგი აღჭურვილია თურმე 50 დღეში „დოკლადით“.

თბლი ტანისამოსიანი საბრძოლველად გამოუშვებს 50 ხანის ბურთების ცეპლინებს. მათ მოპირდაპირეთა—ოპოზიციებს დაიქვრს აუარებელი ჯარი. —მთავარ სარდლათ დანიშნულნი არიან ექსწვერები იანეს და ნიკოლოს გურჯისტანელები. დაწვრილებით ბრძოლის შედეგს შევატყობინებთ.

იქიდავე. ბანება ვაიცა ყველა მევენახეებზედ, ვისაც დამპირებულია და გადამუნებული ღვინოები აქვთ, ნუ გაჰყიდიან. „კახეთის“ ომის შემდეგ ყველა ეს გადასაღვრელი დიდ ჩანებში ჩაისხმება.

სიღნაღი. აქაურ მემამულეებმა გადაგწყვიტეთ „კახეთის“ ომში მონაწილეობა არ მივიღოთ, რადგან დღინო ძლიერ კარგი გვაქვს და ფასშიაც იყიდება.

იუმორისტული-სურსათი „მათრასი“

გაზრდის უკუგვერეუდად

წლიური ხელის მოწერა არ მიიღება, თვიურად ღირს ათი შაური, ცალკე ნომერი ოარი შაური. ფულის მაგივრად შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნა.

სამაგნებით დაუბეკდავთ წერილებს ჩვენგან უკვე ცნობილ პირებს, რომლებსაც არ უღალატნია ჩვენი გამოცემისთვის და არასიღეს შეცდომაშიც არ შეუყვანია „მათრასის“ რედაქცია. ესენი არიან შემდეგი ჩვენი თანამშრომელ-კორესპონდენტები:

ემშაკის ფეხი, პიტნა, ირეთელი, მათრახოსანი, რ. ჯიბილ, ნოშრევანიძე, ა. განჯის-კარელი, ბეშტია, შხანკოლა, მ. ცხვირამე, გერი-ქვანი, წველა, გ. ლადოშვილი, გოგია, სატანა, ვაშა-ბაქურა, ბუჯგუტი, ბორბოშა, გურიანთელი, გარგანა, ისკანდერ, წკობარტი, ფუტკარი და სხვ.

მასალები გამოგზავნება: Тифлись, Типография „Шрома“, Теофили Болквადзе.

ამირავს ოპერები სასახინო თეატრში



— ღმერთმა უშველოს ამირავს, რომ დავეტკო თბილისის მოქალაქენი ამ დიდ მარხვანი.



თბილისის მიკიტნების ჩივილი.

ეს საქევენო დიდი ომი
ჩვენთვის ვახდა შაეი კიორი,
პოლიციამ და შთაერობამ
საქე გვიყო ვახაკვირი!..

ღუქნები რომ დავიკატეს,
შევიქენით ანატორი!
და დავდივართ ქუჩა-ქუჩა
სულ ჩამოვიგრძელდა სხვირი.